წარმოგიდგენთ, ჩვენს ნაკვეთზე გამავალი ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების თანხმობებს

თბილსერვის ჯგუფი

შპს „თბილსერვის ჯგუფი" "TBILSERVICE GROUP" LTD

№ 1/371

31/იანვარი/2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის
უფროსს ბ-ნ. გ. კუბლაშვილს

ასლი: მოქ. დავით ზაუტაშვილს
მის: ქ.თბილისი, გ.ქუჩიშვილის ქ. №12/14/16 ბ.16
ტელ: 595 502 502

ბატონო გივი,

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი (529) წერილის პასუხად (იხ. წერილი №14-01170302639 30.01.2017წ.) მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთებზე (საკ.კოდი: **01.13.02.001.063; 01.13.02.001.059; 01.13.02.001.062; 01.13.02.001.061; 01.13.02.001.021; 01.13.02.001.018)** გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა **(01.00.138)** არ ფიქსირდება, აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის განმცხადებელმა აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე
გარე განათების დარგში: / ვ.ბაძაღუა /

ასლი სწორია

შემსრ. დ.მისირელი
საკ. ტელ. 595 30 76 75

www.tbsg.ge

რთველო, ქ. თბილისი, 0182
თის გზატკეცილი N67

Georgia, Tbilisi, 0182
Address: Tbilisi, Kakheti Highway N67

№ 6301/09 D 08 07 15

შ.პ.ს. „სტრადა"-ს დირექტორს

ა.კუპრეიშვილს

მის. აკ.ბელიაშვილის ქ.N199

ტელ.2 55 66 77

შ.პ.ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული №8078/04, №4574/06 დათარიღებული 27.05.15 წ. აკ. ბელიაშვილის ქ. N199-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N01.13.02.001.018) მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აკ.ბელიაშვილის ქ.N199-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის ქსელები არ გაედინება. ზ/ალნიშნულ მისამართზე გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული დ=1000 მმ-იანი და დ=1200 მმ-იანი საკანალიზაციო კოლექტორები. თანახმად სამშენებლო ნორმებისა და წესებისა სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა-ნაგებობების დაშორება თვითდენითი საკანალიზაციო კოლექტორიდან არანაკლებ 3,0 მეტრით, ამასთანავე ქსელის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში ჩვენს წარმომადგენლებს უნდა მიეცეს საშუალება დღე-ღამის ნებისმიერ დროს ტერიტორიაზე შესვლისა და სპეცტექნიკის გამოყენებით საჭირო სამუშაოების ჩატარებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" როგორც გამონაკლისი, არ არის წინააღმდეგი მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსებაზე კომპანიის კუთვნილ დ=1000 მმ-იან და დ=1200 მმ-იან მთავარ გამყვან საკანალიზაციო კოლექტორებზე იმ პირობით, რომ ქსელის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში, კომპანიის მოთხოვნისთანავე უნდა მოხდეს მისი დემონტაჟი მათივე ხარჯებით (რასაც ადასტურებს თავისივე განცხადებაში).

ომარი გოცირიძე

წარმოების დირექტორის მოადგილე

შემსრ. ი. გაბიტაშვილი

Embassy of the United States of America

July 12, 2017
Tbilisi, Georgia

Mr. Archil Kupreishvili
Director
Ltd. "Strada"
197, Beliashvili Street
Tbilisi, Georgia

Dear Mr. Kupreishvili:

We have received and evaluated your submission dated July 5, asking for Embassy approval to construct a building on Beliashvili Street.

The Embassy has no objection to the proposed construction. If you have any changes to your building plans, please inform us of them in advance.

Thank you,

Adam Lamoreaux
Management Counselor
US Embassy Tbilisi

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

12 ივლისი 2017 წელი

საქართველო, თბილისი

შპს "სტრადა"-ს დირექტორ

ბატონ არჩილ კუპრეიშვილს

საქართველო, თბილისი,

ბელიაშვილის ქუჩა 197

ბატონო არჩილ,

ჩვენ მივიღეთ და შევაფასეთ თქვენს მიერ 5 ივლისს წარმოდგენილი დოკუმენტი ბელიაშვილის ქუჩაზე შენობის აშენებაზე საელჩოს თანხმობის მიღების თაობაზე.

საელჩო არ არის შემოთავაზებული მშენებლობის წინააღმდეგი. გთხოვთ წინასწარ გვაცნობოთ თქვენი მშენებლობის გეგმებში რაიმე ცვლილებების შეტანის შესახებ.

მადლობა,

ხელმოწერილია / დასმულია ბეჭედი

ადამ ლამორო

თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს

მრჩეველი მენეჯმენტის საკითხებში

საქართველო, ქ.თბილისი, 13/07/2017 წ.

მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ი. პეტრიწის ქ. №16, ვადასტურებ ინგლისური ენის მთარგმნელის **მარიამ კვირიკაშვილის** (პირადი № 01022014463, სერტიფიკატი IELTS) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმნის სისწორის გარანტიას. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 2 (ორი) ლარი: - 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 " სანოთარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთ ა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ.. და ასევე დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

Georgia, the city of Tbilisi 13/07/2017

I, Tamar Bakradze, notary, in the city of Tbilisi, at the notarial bureau, located at the following address: № 16 I. Petritsi str, certify the authenticity of the signature of English language translator - Mariam kvirikashvili (personal number № 01022014463, Certificate IELTS). The translator is warned of responsibility for correctness of the translation and guarantees the accuracy of translation.

The notary fee is paid pursuant to the Article 31 of decree № 507 of the Government of Georgia, dated 29.12.2011 on notary act execution and the amount stipulated for the Notary Chamber of Georgia, the terms and the order of payment 2(two) Gel, and 2(two) GEL for E-registration pursuant to the article 39 of the decree № 507 of the Government of Georgia, dated 29.12.2011 on notary act execution and the amount stipulated for the Notary Chamber of Georgia. also VAT 0.36 Gel is paid in accordance with the article 169.

ნოტარიუსი თამარ ბაქრაძე

Notary **Tamar Bakradze**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს,
ბატონ ზაქარია ქურდიანს

CITY
INSTITUTE
GEORGIA

19/308 Gamrekeli Str.
Tbilisi 0160
Georgia

Phone +995 322 470104
info@cig.ge
www.cig.ge

Tbilisi, 13.07.2016

Ref. №:
S-AS027-130716

ბატონო ზაქარია,

თქვენს მომართვაზე (11.07.16 #07/305-13), რომელიც ეხება ამერიკის საელჩოსა და მინდელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შეთანხმებული ჩარჩო გეგმის არეალში მოქცეულ საკადასტრო ერთეულებზე, დროებითი უსაძირკვლო პავილიონებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების განთავსებას შესაბამისი პირობით, გაცნობებთ, რომ ჩვენი 15.01.2016 #07/305-13 წერილის თანახმად სამშენებლო განვითარება აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს ერთიანი კონცეფციით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დიღმის ჭალების როგორც რეკრეაციული ასევე, მიმდებარე ტერიტორიის სოციალურ, საინჟინრო, სატრანსპორტო და ფეხმავალთა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რაც შეეხება უსაძირკვლო პავილიონებისა და მცირე არქიტექტურული ფორმების განთავსებას საკადასტრო ერთეულებზე, შესაძლებლად მიგვაჩნია როგორც დროებითი ღონისძიება. ამასთანავე, ქალაქის პირველივე მოთხოვნისთანავე ეს ნაგებობები აღებული უნდა იქნას მესაკუთრის მიერ საკუთარი ხარჯებით.

პატივისცემით,

მამუკა სალუქვაძე
დირექტორი

07/305-13
14.07.2016

Identification code
№: 404496675

№16/21311 "05" 11 2015

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა შპს „სტრადა"-ს (ს/კ 200264800) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.13.02.001.018, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #199, განხორციელდეს ღია სავაჭრო პავილიონის სამშენებლო სამუშაოები (კერძოდ ტერიტორიის ხრეშით მოსწორება, გამწვანებული ზონების, საოფისე ნაგებობის და დაცვის ჯიხურის მოწყობა). ამასთან, იმ პირობით, რომ სს „საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ არსებული უფლება/ები სრულად შენარჩუნდება.

პატივისცემით,

თამარ ჯანიაშვილი

კორპორატიული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თხუთმეტი წლის თოთხმეტ იულისს მე, მზია მაჩიტიძეს ნოტარიუს გალინა მუმლაძის შემცვლელ პირს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №9, მომმართა **არჩილ კუპრეიშვილმა**. მან განაცხადა, რომ სურს განცხადების შედგენა და მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და ვადასტურებ, რომ მე ნამდვილად **არჩილ კუპრეიშვილმა** (დაბ: 11.09.1974წ. თბილისი, რეგ: თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორ. 20 "ა", ბ. 37, პირადი №01027011671) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი აღნიშნული დოკუმენტის დამოწმებისას ადასტურებს, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა ხელმომწერს ეკუთვნის, ნოტარიუსი პასუხს არ აგებს მოყვანილი ფაქტების ნამდვილობაზე. რის შემდეგაც ხელმომწერმა წაიკითხა წინამდებარე ტექსტი და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, პროექტის შედგენის ერთი ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილებისა №507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე და 39-ე მუხლებისა

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, შპს "სტრადა"-ს (ს/კ 200264800) დირექტორი **არჩილ კუპრეიშვილი** (პირადი №01027011671) ვაცხადებ თანხმობას, ქ. თბილისის მერიის პირველივე მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადებში განვახორციელო შპს "სტრადა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარე: **ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან (ნაკვეთი №1/18-ზე) (ს/კ №01.13.02.001.018)** არსებული შენობა-ნაგებობის (მათ შორის ღობის) დემონტაჟი, რაზედაც პრეტენზია არ გამაჩნია.

აღნიშნული თანხმობა გამოხატავს ჩემს ნებას, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

ნოტარიუსის
შემცვლელი პირი



მზია მაჩიტიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150751200
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.07.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გალინა მუმლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი. გურამიშვილის გამზირი # 9
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 99 14 43 43
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	52576643107715

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18